ა) სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: **ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია**

Informational Society and Sociology of Media

ბ) **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მაგისტრი მედია კომუნიკაციის სოციოლოგიაში - **MA in Sociology of Media Communication.**

გ) **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი

დ) **სწავლების ენა:** ქართული

ე) **სამაგისტრო პროგრამის მიზანი:** საზოგადოებრივი განვითრების სამი ფუნდამენტური საწყისიდან – რესურსები, კაპიტალი, ინფორმაცია – თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ, სოციალ-პოლიტიკურ თუ კულტურულ განვითარებაში წამყვან პოზიციას ინფორმაციის გენერირება, შენახვა, განაწილება და მოხმარება იძენს; შედეგად, ადგილი აქვს ინფორმაციულ-კომუნიკაციურ რევოლუციას, რომელიც თვისებრივად ცვლის თანამედროვე საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სტრუქტურას; მეცნიერები საუბრობენ ,,ინფორმაციულ აფეთქებაზე" არა მარტო დასავლეთის განვითარებულ საზოგადოებებში, არამედ აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. ამდენად, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სოციალური მედია კომუნიკაციის მთავარი ,,მაგისტრალი" ხდება და ფუნდამენტურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტებისთვის მედიის, სოციალური კომუნიკაციების და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ურთიერთგავლენის ცოდნას, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს შორის სოციალური კომუნიკაციის და სოციალური მედიის როლის შეფასებას, მათი ეფექტური დარეგულირების მექანიზმების დადგენას და თეორიული სქემების პრაქტიკული გამოყენების მეთოდოლოგიური უნარებისა და ჩვევების გამომუშავებას.

სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარება, მაგისტრანტების დაინტერესება რეალური ემპირიული კვლევებით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, და პრაქტიკული უნარების გამომუშავება თეორიის ემპირიაში გამოყენების მიზნით.

ვ) ***პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:*** მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებაში, ჰუმანიტარულმეცნიერებაში ან ეკონომიკაში;

- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა მედიისა და კომუნიკაციის სოციოლოგიაში;

ზ) **სწავლის შედეგი:**

ცოდნა და გაცნობიერება: სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ სოციალურ კომუნიკაციებსა და მედიაკომუნიკაციებთან დაკავშირებული აქტუალური თემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ, ცნებით აპარატს, სოციალურ კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობების მეთოდოლოგიური პრინციპებისა და

თეორიების კრიტიკულ ანალიზს, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური ცვლილებების ცოდნას, მედიაკომუნიკაციებისადმი კლასიკურ და თანამედროვე სოციოლოგიურ მიდგომებს, სოციალური კომუნიკაციების ტიპოლოგიას. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეიძენს თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებების და მათი მიმართულებების პრობლემათა ცოდნას, გააცნობიერებს იმ რადიკალურ ტრანსფორმაციებს, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუცია იწვევს.

მაგისტრანტები შეისწავლიან იმ თეორიებს, რომლებიც იკვლევენ მედიის სოციალურ არსს, მასმედიის როლსა და ფუნქციებს საზოგადოებაში, აგრეთვე აანალიზებენ საზოგადოების ზეგავლენას მედიის ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე და ამ უკანასკნელის გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე. მაგისტრანტებს გაცნობიერებული ექნებათ:

- მედიის მნიშვნელობა ინფორმაციულ საზოგადოებაში და მისი როლი მიმდინარე ტრანსფორმაციებში.
- ავტორიტარული, ტოტალიტარული და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების გავლენა მედიის ინსტიტუტების ობიექტურობასა და ანგაჟირებულობაზე.
- პოლიტიკის ველის და ჟურნალისტიკის ველის ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა.
- მასმედიისა და ჯგუფური ინტერესების ურთიერთკავშირი, შესაბამისად, იდეოლოგიის როლი მასმედიის ფუნქციონირებაში.
- ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალური მედიის ვირტუალურ სივრცეში განხორციელებული აქტივობების რეალურად ქცევის შესაძლებლობები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

კურსდამთავრებულთა წარმატებული პროფესიული საქმიანობა გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას განსხვავებულ სოციალურ კონტექსტებში, სოციალური კომუნიკაციების და მასობრივი კომუნიკაციების სფეროთა ემპირიული კვლევისა და პროგნოზირების მოთხოვნის პირობებში. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მოიცავს ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალურ პროცესთა კრიტიკულ ანალიზს, მათ შესასწავლად ემპირიული კვლევითი სტრატეგიისა და მეთოდების შერჩევა–გამოყენებას, მოპოვებული მონაცემების რაოდენობრივ/თვისებრივ ანალიზს და ინტერპრეტაციას, და თეორიული იდეების ემპირიულ-კვლევითი რეალიზაციის შესაძლებლობას. ამგვარად, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციაში შედის ინფორმაციულ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური ცვლილებების დინამიკის ემპირიულ-კვლევითი შესწავლა და მათი უზრუნველყოფა სიღრმისეული კონსულტაციებით. იმ რადიკალური ტრანსფორმაციების გაცნობის შემდეგ, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუცია იწვევს, მაგისტრანტს შეეძლება კრიტიკულად შეაფასოს ინფორმაციის და თეორიული ცოდნის როლი თანამედროვე მსოფლიოს განვითარებასა და ფუნქციობაში და ემპირიულად შეისწავლოს კონკრეტული შემთხვევები (cases) საქართველოს და სამხრეთ კავკასიის რეგიონის რეალობაში, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების დადგენის მიზნით.

კომუნიკაციის უნარი:
მაგისტრანტს უნდა შესწევდეს არგუმენტების დამაჯერებლად ფორმულირების და მათი ნათლად და ეფექტურად პრეზენტაციის უნარი როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით. ის უნდა ფლობდეს მიღებული ცოდნის სხვებისთვის გაზიარებისა და გადაცემის უნარს.მაგისტრანტს უნდა შეეძლოს გუნდური მუშაობა და ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა, აგრეთვე მათი წარმართვა/მოდერაცია, შესაბამისად, უნდა გამოავლინოს ლიდერის თვისებები.
გარდა სხვა სტუდენტებთან და პედაგოგებთან აკადემიური კომუნიკაციის უნარისა, მაგისტრანტს უნდა ახასიათებდეს რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობების უნარი. და ბოლოს, მას უნდა შეეძლოს აკადემიური და ფართო საზოგადოებისთვის სამეცნიერო ინფორმაციის ქართულ და უცხო ენებზე ეფექტური კომუნიკაცია.

დასკვნის უნარი:
პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, ინტელექტუალური ინიციატივის, ინფორმაციის მოგროვების, ორგანიზების და გამოყენების, პრობლემათა აღქმისა და გადაჭრის, ინფორმაციის მართებულობის შემოწმების, არგუმენტების დასაბუთებულად ჩამოყალიბების, კონტრარგუმენტების დამაჯერებლად უკუგდების, თეორიული და ემპირიული მასალის ნათლად და ეფექტურად პრეზენტაციის უნარის გამომუშავებაზე. მაგისტრანტს მოეთხოვება რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კომუნიკაციური ქმედებების შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობის პირობებში არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება და მათ საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება, გაანალიზება და დასკვნის გაკეთება.

სწავლის უნარი:
მაგისტრანტს მოეთხოვება მასალის წვდომისა და შესაბამისი გააზრების უნარი; მასალის სტრუქტურირების უნარი; მასალაზე კრიტიკული რეფლექსიის უნარი; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; ცოდნის განახლებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარი.

ღირებულებები: სამოქალაქო სათნოებების, სამართლიანობის, თანასწორობის, ტოლერანტობის დამკვიდრება და განმტკიცება, კულტურული რელატივიზმის და, მის საფუძველზე, კულტურული ტოლერანტობის განვითარება, მულტიკულტურულ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების სტრატეგიების განვითარება. პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვა, მკვლევრის მიუკერძოებლობა და კეთილსინდისიერება. რესპონდენტებთან ეთიკური და კორექტული ურთიერთობების უნარი; მათი კონფიდენციალობის შენარჩუნება და ზიანის მიყენებისგან დაცვა.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:
წიგნზე მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი, კერძოდ, რეფერატების და ესეების შესრულება; პრაქტიკული მეთოდები, კერძოდ, თეორიის ემპირიაში გამოყენება, მცირე მასშტაბური რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარების საფუძველზე, აგრეთვე მიღებული მონაცემების პრეზენტაცია; დისკუსია–დებატები; ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით
სამაგისტრო პროგრამაში საგნების რაოდენობაა 19. მათგან სავალდებულოა 12, ხოლო არჩევითი 4 (ასარჩევად მიეწოდება 7 კურსი). ორწლიანი სწავლების პირველ დონეზე (I-II სემესტრი) თეორიული კვლევითი კომპონენტებიდან მეტი ყურადღება თეორიულ მეთოდოლოგიური ბაზის შექმნას ექცევა, თუმცა ეს დონე გარკვეული კვლევით უნარ–ჩვევების გამომუშავებასაც ითვალისწინებს. სამაგისტრო პროგრამის II დონე (III და IV სემესტრი) მნიშვნელოვნად ძლიერდება კვლევითი კომპონენტები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკრეტული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველაზე სპეციფიკური გამოვლინების ე. ი. შემთხვევების ანალიზს. იგი ასევე ასახულია პრაქტიკაში, რომლებსაც სტუდენტები გადიან სოციალური და მარკეტინგული კვლევების სამსახურებში. აქ მათ შეუძლიათ ჩაერთონ ემპირიულ კვლევებში და განიმტკიცონ საუდიტორიო პრაქტიკუმებზე შეძენილი კვლევითი უნარ-ჩვევები, შეიძინონ კვლევის პროცესის პრაქტიკული გამოცდილება. კვლევითი პრაქტიკა წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელ კომპონენტს, პრაქტიკის შედეგი მაგისტრანტებმა ანგარიშის სახით უნდა წარმოადგინონ. სამაგისტრო სწავლება დასრულდება ემპირიულ-კვლევითი სამაგისტრო ნაშრომით.

იხ. დანართი
ლ) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ამირან ბერძენიშვილი, ლია წულაძე

მ) დასაქმების სფეროები: სახელმწიფო ორგანიზაციები, პოლიტიკური ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის გენერირებისა და გავრცელების სამსახურები (მასმედია), პრესცენტრები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პოლიტიკური იმიჯ–ცენტრები, პოლიტიკური კონსულტაციის ცენტრები, არასამთავრობო დაწესებულებები და ორგანიზაციები.
სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს უქმნის წინაპირობას, რომ სწავლა განაგრძოს შე,მდგომ საფეხურზე, დოქტორანტურაში.

ნ) დამატებითი ინფორმაცია:
სამაგისტრო პროგრამაში სწავლა იწყება შემოდგომის სემესტრიდან. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება იყოს 15.

ო) სილაბუსები (იხ. დანართი 1)

პ) ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ (იხ. დანართი 2)

ჟ) ინფორმაცია მატერიალური რესურსების შესახებ:

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ -ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურსცენტრები, ელექტრონული სწავლების პორტალი; ელექტრონული ჟურნალები და ბაზები; სოციოლოგიისა და ჟურნალისტიკის მიმართულებების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე არსებული რესურსცენტრები და ბიბლიოთეკა.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს თსუ.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **სოციოლოგიის**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ამირან ბერძენიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ლია წულაძე, ასოცირებული პროფესორი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **2011 წლის 29 ივნისი, N57 დადგენილება**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)												
სავალდებულო კურსები– 70 კრედიტი (ECTS) + არჩევითი 20 კრედიტი (ECTS)+სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**დასკვნითი გამოცდის ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სწავლების სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი / პრაქტიკული**	**ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება**	**შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება**	**დასკვნითი გამოცდის მომზადება**			**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
1	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	10	30	26	156	20	10	4	წინაპირობის გარეშე	✓		ამირან ბერძენიშვილი ელდარ იბერი
2	სოციალური კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები	5	15	15	65	10+10	8	2	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო დურგლიშვილი

3	მედიის კვლევის მეთოდები	5	15	15	65	10+10	8	2	წინაპირობის გარეშე	✓		რევაზ ჯორბენაძე
4	ინფორმაციული საზოგადოების თეორიები	5	15	15	65	10+10	8	2	წინაპირობის გარეშე	✓		ამირან ბერძენიშვილი
5	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები	5	15	30	52	8+8	12	3	წინაპირობის გარეშე	✓		იოსებ მასურაშვილი
6	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში (სავალდებულო)	5	15	15	65	10+10	8	2	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე
7	კულტურის სემიოტიკა	5	15	15	65	10+10	8	2	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე
8	სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები)	5	15	15	75	10	8	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	ამირან ბერძენიშვილი
9	SPSS –ის გამოყენება სოციალურ კვლევებში	5	15	26	60	8+4	9	3	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	პაატა ზარდიაშვილი
10–13	არჩევითი საგნები: 1. ბიზნესკომუნიკაციები 2. ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება 3. იმიჯმეიკინგი 4. კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია	10							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ორი ხუთკრედიტიანი საგანი შეთავაზებული ოთხი საგნიდან:		✓	
	ბიზნესკომუნიკაციები	5	15	26	57	8+4	12	3	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	იოსებ მასურაშვილი

	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია	5	15	15	55	10+10	20	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	ლალი სურმანიძე
	ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება	5	15	15	65	12	16	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	ნ. ხარაძე
	იმიჯმეიკინგი	15	15	15	65	10+10	8	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	ფლორა ესებუა
14	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი	5	15	15	71	8	16	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია		✓	მარიამ გერსამია
15	რეკლამისა და პროდუქტის დამკვიდრება	5	15	15	77	8	10	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	✓		ლელა იაკობაშვილი
16	მედია და ხელისუფლება	5	15	15	77	8	10	3	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	✓		მარინა მუსხელიშვილი
17–19	არჩევითი საგნები: 1. სუბკულტურა – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები 2. კულტურის სოციოლოგია 3. ელექტრონული პიარი	10							სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ორი ხუთკრედიტიანი საგანი შეთავაზებული სამი საგნიდან	✓		
	სუბკულტურა – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები	5	15	15	55	10+10	20	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	✓		ლია წულაძე
	კულტურის სოციოლოგია	5	15	15	74	8	12	3	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	✓		ლალი სურმანიძე
	ელექტრონული პიარი	5	15	15	65	10+10	8	2	კომუნიკაციისა და მედიის სოციოლოგია	✓		მარინა ხიზანიშვილი

	ინგლისური ენა I, II	10	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე			ენების ცენტრის პედაგოგი
20	პროფესიული პრაქტიკა	5								✓		ამირან ბერძენიშვილი
21	**სამაგისტრო პროექტი ან ნაშრომი**	**30**									✓	~

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი